საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 31 ოქტომბერი, 2011 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 80
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტთათვის სახელობითი სტიპენდიის მინიჭების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილების (ოქმი # 1, 25 ოქტომბერი, 2011 წელი) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მიენიჭოს საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიები ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტებს:

საუნივერსიტეტო სტიპენდია:

- ფრიდონ ხალვაშის სახელობის - მაკა ჩიკაშუას (სახვითი, სასცენო და კინოტელე ხელოვნების ფაკულტეტის ტანსაცმლის დიზაინის სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტი);

საფაკულტეტო სტიპენდია:

- იუსუფ კობალაძის სახელობის - გიორგი ტუნაძეს (სახვითი, სასცენო და კინოტელე ხელოვნების ფაკულტეტის ინტერიერის დიზაინის სპეციალობის მე-2 კურსის სტუდენტი);
- ზაქარია ფალიაშვილის სახელობის - გვანცა ხილაძეს (მუსიკის ფაკულტეტის აკადემიური სიმღერის სპეციალობის მე-3 კურსის სტუდენტი);
- ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის - ნონა სურმანიძეს (განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობის მე-2 კურსის სტუდენტი).

2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**